საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩაზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები“

შ.პ.ს. „ფრეშ მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენ მიერ 2012 წლის სექტემბერში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს საინჟინრო-გეოლოგიური განყოფილების მიერ 2012 წლის მაისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი გ. ზაგაშვილი. მათივე ლაბორატორიაშია ჩატარებული გრუნტების თვისებების გამოკვლევა.

საექსპერტოდ გადმოცემულია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე ———— 10 გვ.
2. ტექნიკური დავალება ———— 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების ლაბორატორიულ გამოკვლევაზე ———— 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შესახებ ———— 4 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა ———— 1 ფურც.
6. ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები ———— 2 ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილები ---------- 5 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 17-სართულიანი საცხოვრებელი სახლი ორსართულიანი იატაკქვეშეთით. შენობა კონსტრუქციულად წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასს. შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად გაყვანილი იქნა ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით 9 ჭაბურღილი, რომელთა სიგრძე იცვლება 12-15 მ-ის ფარგლებში. ბურღვა ჩატარდა მშრალი ბურღვის წესით კერნის ამოღებით.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების შედეგად მოედნის გეოლოგიური ჭრილი შემდეგნაირია:

1 ფენა-1 - ნაყარი;

2 ფენა-2 - ტბიური, თიხოვანი გრუნტი;

3 ფენა-3 - კენჭნარი;

4 ფენა-4 - ძირითადი ქანების არგილიტებისა და ქვიშაქვების ალუვიონი;

5 ფენა-5 - ნაკლებად გამოფიტული არგილიტები და ქვიშაქვები.

ანგარიშში დახასიათებულია თითოეული ფენა, მოცემულია მათი საანგარიშო მნიშვნელობები.

ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე ავტორი იძლევა რეკომენდაციებს ფუძე-გრუნტების შერჩევისათვის. მას ოპტიმალურ ვარიანტად მიაჩნია ფენა-5, ხოლო საძირკვლად გამოყენებული იქნეს რკინაბეტონის ფილა, რასაც ვეთანხმებით.

გრუნტის წყალი გამოვლენილი იქნა ზედაპირიდან საკმაოდ ღრმად (7.8–8.0 მ). წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობის მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლის აშენების მიზნით ჩატარებულია პროფესიულ დონეზე. ცალკეული შენიშვნები ჩვენ მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექ. მეცნ. დოქტ. პროფესორი გ. ჭოხონელიძე

დაკვ. №111/2012

ხელშეკრულება № 111

ქ. თბილისი 2012 წლის 15 მაისი

შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი", შემდგომში „შემსრულებლად" წოდებული, დირექტორის ბაკურ მირიანაშვილის სახით, ერთის მხრივ, რომელიც მოქმედებს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონისა და საზოგადოების წესდების საფუძველზე და მეორეს მხრივ, შემდგომში „დამკვეთად" წოდებული, შპს „ფრეშ მენეჯმენტ ჯგუფი"-ს დირექტორის მერაბ შენგელიას სახით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი თავის თავზე იღებს, ჩაატაროს ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩაზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა – გაიბურღოს 9 (ცხრა) ჭაბურღილი საშუალოდ 10–15 მ-იანები.
2. სამუშაოს ჩაბარების ვადა – 2012 წლის 12 ივნისი.
3. დამუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციისათვის დამკვეთი გადაურიცხავს შემსრულებელს – ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით. 1 გრძივი მეტრის ღირებულებაა 80 (ოთხმოცი) ლარს პლუს დამატებული ღირებულების გადასახადი 18%.
4. მხარეთა შეთანხმების თანახმად, ანგარიშსწორება წარმოებს წინასწარ – 3000 (სამი ათასი) ლარის ჩარიცხვით, დანარჩენი სამუშაოს დამთავრების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში.
5. სამუშაოს დასრულებისას შემსრულებელი წარუდგენს დამკვეთს სამეცნიერო–ტექნიკურ დოკუმენტაციას შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად.
6. ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, შემსრულებელი და დამკვეთი ქონებრივად აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7. ხელშეკრულება ძალაშია დღიდან მისი ორმხრივი ხელმოწერისა, მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.
8. ხელშეკრულება შედგენილია ორ-ორ ეგზემპარად, ყველა ეგზემპარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.
9. შემსრულებლის მისამართი და ანგარიშსწორების ანგარიშია – ქ. თბილისი 0162, ალ. ყაზბეგის გამზირი №2, საიდენტიფიკაციო კოდი 205286616. სს „თიბისი ბანკი"-ს საბურთალოს ფილიალი, ბანკის კოდი TBCBGE22, ა/ა GE78TB 7209 236 050 100 001.
10. დამკვეთის მისამართია – ქ. თბილისი, აბაშიძის ქ. №41, საიდენტიფიკაციო კოდი 205275165.

შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს
დირექტორი

_____ ბ. მირიანაშვილი

„ ____ " _____ 2012 წ.

ბ.ა.

შპს „ფრეშ მენეჯმენტ ჯგუფი"-ს
გენერალური დირექტორი

_____ მ. შენგელია

„ ____ " _____ 2012 წ.

ბ.ა.

დაკვ. №111/2012

სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მიღება-ჩაბარების

ა ქ ტ ი

2012 წლის 11 ივნისი

ქ. თბილისი

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნმა, შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს დირექტორმა ბაკურ მირიანაშვილმა ჩააბარა, ხოლო დამკვეთმა – შპს „ფრეშ მენეჯმენტ ჯგუფი"-ს გენერალურმა დირექტორმა მერაბ შენგელიამ ჩაიბარა 2012 წლის 15 მაისის №111 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია – ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩაზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები. ჩაბარებული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს.

ხელშეკრულების თანახმად დამკვეთი გადაურიცხავს შემსრულებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით, 1 გრძივი მეტრის ღირებულებას 80 (ოთხმოცი) ლარს პლუს დამატებული ღირებულების გადასახადი.

ფაქტიურად გაიბურღა 9 ჭაბურღილი, მთლიანი მოცულობით 80 გრძივი მეტრი.

ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარება 7552 (შვიდი ათას ხუთას ორმოცდათორმეტი) ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

გადახდილია ავანსი – 3000 (სამი ათასი) ლარი.

გადმორიცხვას ექვემდებარება – 4552 (ოთხი ათას ხუთას ორმოცდათორმეტი) ლარი.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

სამუშაო ჩააბარა:

_____ ბ. მირიანაშვილი
(ხელმოწერა)

„11" ივნისი 2012 წ

ბ. ა.

სამუშაო ჩაიბარა:

_____ მ. შენგელია
(ხელმოწერა)

„11" ივნისი 2012 წ.

ბ. ა.

380113 თბილისი, ვაჟა ფშაველას გამ'ს. 16. ტელ.: 337808,387014,389640,371180. ფაქსი 385627. ელ.ფოსტა info@Expertiza.ge

№ _____ "____" _____2011წ

ც ნ ო ბ ა

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გუგა ჭოხონელიძე 1995 წლიდან ირიცხება მშენებლობის პროექტირების ექსპერტიზის სამმართველოს დამტკიცებულ ექსპერტთა სიაში, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მან ჩაუტარა ექსპერტიზა მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტის პროექტს საინჟინრო გეოლოგიის ნაწილში.

ცნობა ეძლევა ქ.თბილისის არქიტექტურულ დეპარტამენტში წარსადგენად.

დირექტორის პირველი
მოადგილე ლ. მეძმარიაშვილი

ООО»Экспертиза Проектирования и Строительства»
380113 Тбилиси, пр.Важа Пшавела 16,
тел.: 337808, 3711118, факс (995 32) 386527

LTD «Examinetion Construction Designs"
380113 Tbilisi, Vadgha-Pshavela Av.16
Phone: 337808, 3711118, fax: (995 32) 386527